ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ს ა მ ტ რ ე დ ი ა
მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის
N 38 15
ბრძანება

13/02/2020

ირმა გოგიასთან სამსახურეობრივი უფლებამოსილების განხორციელებისათვის ფუნქციების განაწილების შესახებ

,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 04 ივნისის N25 დადგენილების მე-9 მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორე კატეგორიის უფროს სპეციალისტთან საორგანიზაციო საკითხებში, ირმა გოგიასთან, განისაზღვროს სამსახურეობრივი უფლებამოსილების განხორციელების ფუნქციები:
   1.1 საკრებულოს და საკრებულოს თანამდებობის პირების სახელზე შემოსული წერილების, განცხადებების და სხვა დოკუმენტაციის აღრიცხვა, სისტემატიზაცია, სარეკვიზიტო და დოკუმენტარული გაფორმება, ადრესატისთვის გადაგზავნა.
   1.2 საჯარო ინფორმაციის მოთხოვნასთან დაკავშირებით მასალების მოძიება და პასუხის გაცემა ადრესატისათვის, კანონით დადგენილ ვადებში, აღნიშნულის თაობაზე წლიური ანგარიშის მომზადება და სათანადო ორგანოებში გაგზავნა, გამოქვეყნება.
   1.3 საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა საჯარო მოსამსახურეთა პირადი საქმეებისა და სხვა საკადრო დოკუმენტაციის შედგენა, აღრიცხვა და წარმოება.

1.4 საკადრო პოლიტიკის განხორციელების და ადამიანური რესურსების მართვის სფეროში შესაბამისი დოკუმენტაციის შეგროვება და ავტომატიზებული სისტემის ფუნქციონირება.

1.5 საკრებულოს და საკრებულოს თანამდებობის პირთა მიერ, მიღებული სამართლებრივი აქტების რეგისტრაცია, გადაგზავნა და გამოქვეყნება.

1.6 საკრებულოს რეგლამენტით, დებულებით, საკრებულოს თავმჯდომარისა და საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის უფროსის სხვა დავალებების შესრულება.

1.7 სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმისწარმოებით დასრულებული საქმეების დაცვა და შენახვა.

2. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

ნუგზარ ჯამბურია

საკრებულოს თავმჯდომარე